ახალი

გენთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2019 წელი 29 ნოემბერი № 11 № 8152

89-ე წელი თქვენთან ერთად!

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

სტადიონი გაიხსნა

24 ნოემბერს კასპში ცენტრალური სტადიონის გახსნის ცერემონია გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდთან ერთად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არაჩვეულებრივი პროექტი განახორციელა.

პროექტის ფარგლებში ადგილზე 500 ადამიანზე გათვლილი ტრიბუნა და პრესლოჟა მოეწყო, დაიგო უმაღლესი ხარისხის ხელოვნურსაფარიანი მოედანი, დამონტაჟდა განათების სისტემა და განახლდა სპორტული სკოლის შენობა, რომელიც ადმინისტრაციულ ნაგებობას და გასახდელებს მოიცავს.

ახალი სტადიონის ტერიტორიაზე ერთი სტანდარტული ზომის და ერთი მინი მოედანია.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ ადგილობრივ ვეტერან ფეხბურთელებსა და თბილისის "დინამოს" ვეტერანებს შორის ამხანაგური მატჩი გაიმართა.

332. საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები

ჩემი სკოლა 100 წლისაა 332.

შემოდგომა სოგურამში 333.

334. ბოთლიანი ზონაში მცხოვრები ბავშვებისათვის

თაობებგამოვლილი ფრანგიანები 335.

89-ე წლიან ჩვენი გაზეთი იწერება, ვგროვდებით, ინახავენ რეიონის იცდილობენ, ბანაკ ვინ ფიქრობ ყვითელ ჭრიალა, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფასებელი მაცდენის ... გამოიწერეთ "ახალი გენთიადი" და გახლით ჩვენი მკითხველი!

გახლით ჩვენი მკითხველი!

კანონმდებლობით დადგენილი

კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად 30 ოქტომბერს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში წარედგინა საზოგადოებას.

მოგეხსენებათ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება ბიუროსაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიების და ფრაქციების თავმჯდომარეები.

საკრებულოში ფუნქციონირებს ხუთი მუდმივმოქმედი კომისია: ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია (კომისიის თავმჯდომარე ქიტესა ხოდელი, ჩატარებული აქვს ექვსი სხდომა); საფინანსო- საბიუჯეტო კომისია (კომისიის თავმჯდომარე თეა გულიკაშვილი-ხარატიშვილი ჩატარებული აქვს რვა სხდომა); იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (კომისიის თავმჯდომარე ხათუნა თათანაშვილი ჩატარებული აქვს ხუთი სხდომა); სივრცითტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია (კომისიის თავმჯდომარე ილია ქამხაძე ჩატარებული აქვს რვა სხდომა); კულტურის, სპორტის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია (კომისიის თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ჩატარებული აქვს ექვსი სხდომა). ყველა კომისიას განხილული აქვს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს ხუთი ფრაქცია; კერძოდ: ფრაქცია "ქართული ოცნება" თავმჯდომარე ზურაბ ჩადუნელი; ფრაქცია "პატრიოტების ერთობა" თავმჯდომარე ილია კიტრიაშვილი; ფრაქცია "ქართული ოცნება" - კონსერვატორები თავმჯდომარე ოთარ ჭეიშვილი; ფრაქცია "ქართული ოცნება" - მრეწველები თავმჯდომარე ალექსანდრე ბიძინაშვილი; ფრაქცია "ძალა ერთობაშია კასპის წინსვლისთვის" თავმჯდომარე გიორგი ხელაშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო მზადაა უპასუხოს მოსახლეობის კითხვებს ან გასცეს განმარტებები საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

გვმოიწერეთ
"ახალი გზა"
გზით
ჩვენი მკითხველი!

საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები

ქალაქ კასპში ბორჯომის ქუჩიდან ე.წ. ნატბეურას გავლით, პაატას ქუჩის გადაკვეთამდე მოასფალტებული კეთილმოწყობილი გზა გაიხსნა.

გზაზე მოეწყო ქვის გაბიონი, გადამსვლელები, დაიგო ასფალტი, დაიხაზა და დაიდგა საგზაო ნიშნები. გზის სიგრძე 1 863 გრძივი მეტრია, სამუშაოები შპს "გზები და კეთილმოწყობამ" შეასრულა. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მასზე 1 652 390 ლარი დაიხარჯა. გზის მოასფალტებამდე შეიცვალა მიწისქვეშა სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემები.

ქუჩაზე დამონტაჟდა თანამედროვე ტიპის ლედი სანათები.

ჩემი სკოლა 100 წლისაა

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთის გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნანა ბარნაბიშვილი), დაარსებიდან 100 წლის იუბილე გაიმართა.

სტუმრებთან ერთად საზეიმოდ მორთულ სკოლაში სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებულები თანაკლასელებს, ყოფილ პედაგოგებს გულთბილად ესალმებოდნენ და სკოლაში გატარებულ წლებს იხსენებდნენ. სკოლის შესასვლელში შიდა ქართლის მხარის რწმუნებულის მოადგილემ ნუგზარ სამხარაძემ და კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამჯდომარემ დავით ლეონიძემ სკოლის ვარსკვლავი გახსნეს და საიუბილეო წელი მიულოცეს.

დარბაზში პედაგოგებთან ერთად იმყოფებოდნენ ყოფილი მოსწავლე - პედაგოგები, ექიმები, იურისტები, ფინანსისტები, ჟურნალისტები, პროფესორები, ბიზნესმენები, მომღერლები, მოცეკვავეები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები - ადამიანები, რომლებმაც წარჩინებული სწავლითა და პროფესიით სკოლა ასახელეს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ თამაზ ტატანაშვილმა ამაგდარ, 87 წლის ყოფილ პედაგოგ მზია გოგიაშვილს მერიის საპატიო სიგელი გადასცა.

სკოლის იუბილეზე მისალოცი სიტყვით გამოვიდნენ კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ნათია ილურიძე და მწერალი დათო ტურაშვილი.

საღამოს საკონცერტო პროგრამაში სკოლის მოსწავლეები და ყოფილი კურსდამთავრებულები მონაწილეობდნენ. საჯარო სკოლის დირექტორმა ნანა ბარნაბიშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს და ღონისძიების მონაწილეებს, ყოფილი პედაგოგები კი ლამაზი თაიგულებით დაჯილდოვა.

კასპში გამწვანების აქცია გაიმართა

კასპში გამწვანების აქცია ჩატარდა. ბუნების მკვლევართა კავშირი "ორქისი" 4 წელია თანამშრომ- ლობს კასპის მუნიციპალიტეტის მერიასთან და მარადმწვანე და ფოთლოვანი ნერგებით ამარაგებს. ამჯერად, ორქისელებმა კასპელებს ელდარის ფიჭვის ნერგები გადასცა, რომლებიც მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და სკოლებს გადაუნაწილდათ.

მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის ბუნების მკვლევართა კავშირ "ორქისის" თანამშრომლობისათვის.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

შემოდგომა საგურამოში

პრემია “საგურამო”

ბანერი ავტობანზე “მამული, ენა, სარწმუნოება”.

გურამიშვილის დაბრუნება...

წლის ყველა დროს ერთნაირად ლამაზია საქართველო, მაგრამ სხვანაირი შემოდგომა იცის საგურამოში.. ქართლ-კახეთის მიჯნაზე მდებარე სოფელი წელს სამი მოვლენით დაგვამახსოვრდა...

პრემია “საგურამო” – 2019

უკვე მეჩვიდმეტე წელია დაფუძნდა ლიტერატურულ-სახელოვნებო პრემია “საგურამო”.

12 სექტემბერს (ილიას მკვლელობის დღეს) საგურამოს ი. ჭავჭავაძის მუზეუმში პრემიის დამფუძნებლები იწვევენ გამარჯვებულ ნომინანტებს და “ავალებენ” მათ სამადლობელი სიტყვის მომზადებას...

8 ნოემბერს დიდი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის – ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს, აქვე ეწყობა დაჯილდოების ცერემონია.

წელს, ილიას დაბადების 182-ე წლისთავზე, უჩვეულოდ კი აცივდა (“მზე გაგვებუტაო”), მაგრამ საზეიმო განწყობას ბევრი არაფერი მოჰკლებია...

პრემიები, ტრადიციულად, გადასცა ერთერთმა დამფუძნებელმა – საგურამოს ილიას მუზეუმის დირექტორმა, ბატონმა ანდრო ბედუკაძემ.

პოეზიაში გამარჩიეს ქეთევან შენგელია. “ქართველ ერს ჰყავდა შვილი, რომელმაც ლამის მთელი საქართველო იშვილა” – აღნიშნა მან.

მეორე იყო პროზის ნომინანტი ბექა ქურხული: “ეს ჩემ ბიოგრაფიაში რიგით მეოთხეა, მაგრამ ყველასგან გამორჩეული. მეამაყება.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი ირმა რატიანი (კრიტიკა) – “ილია ალბათ წააგავს ატლასს, რომელსაც თავის მხრებზე უდევს ქართული იდენტობა”...

ელისო ბოლქვაძე (ხელოვნება) 12 სექტემბერს, საბედნიეროდ საქართველოშიც ყოფილა და საგურამოშიც... 8 ნოემბერს კი მას იტალიაში წინასწარ ჰქონია დაგეგმილი კონცერტი და გაჟღერდა პარიზიდან გამოგზავნილი მისი სამადლობელი სიტყვა.

საბავშვო მწერლობაში დაფასდა ზაზა აბზიანიძე, თარგმანში ზაზა ჭილაძე...

ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ორი პრემია გაიცა – ნიგარ ანთელავაზე (“ილიას “მამული, ენა, სარწმუნოება” არის ყველა დროის იდეოლოგიური ფორმულა”) და ეთნოგრაფ-ისტორიკოს როლანდ თოფჩიშვილზე (“ილიამ ეთნიკურად გაერთიანა ქართველი ხალხი, ეთნიკური ცნობიერება აგვიმაღლა, გაუხანგრძლივა ერს სიცოცხლე”).

ილიას მედალი “მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა” – სულიერ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გადაეცა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას (ჭანტურია), მეუფე არ დასწრებია, მისი სამადლობელი სიტყვა წაიკითხა მწერალმა ნინო სადღობელაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ დღემდე ეს საპატიო ჯილდო ჰქონდა მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს – ილია მეორეს (2003).

საგურამოს პრემიები გადაეცათ დათო მაღრაძის პოემა “ჯაკომო პონტის” სამ ენაზე მთარგმნელებს: მინაზ ლაზბასა და ირმა ოსიას (აფხაზურად), ნაირა ბეპითსა და მერი ცხუირბათის (ოსურად), ლარისა ტუპწაყვას (ჩერქეზულად).

დაჯილდოებულებს ახალი ლექსებით მიულოცა პოეტმა მანანა ჩიტიშვილმა.

თბილისი-საგურამოს გზაჯვარედინზე ავტობანზე გაჩნდა ბანერი “მამული, ენა, სარწმუნოება”.

ილიას მუზეუმისაკენ მიმავალ აღმართზე, კაკლების ხეივნის ერთ მზიან ბორცვზე, რომლის

დასასრული გვ-10.

“მამულო, სიცოცხლეო!”

ფაქტია, საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის როგორ შექმნას თანამედროვეობის მორიგი სურათი. არა და, 30 წლის წინ საქართველოს დამოუკიდებლობა აუხდენელ ოცნებათა რიგს განეკუთვნებოდა და მაინც ამ ყოვლისმომცველ ოცნებაზე შენდებოდა ქვეყნის აღორძინების ყველა რეალობა.

მაშინ - პოლიტიკური რომანტიზმის ეპოქაში, რიგიანად არც კი ვფიქრობდით ჩვენს პიროვნულ ადგილზე საოცნებო საქართველოში! აბა, ვინ იფიქრებდა ევრორემონტზე, მოპარულ მილიონებზე, მიწასთან გასწორებულ ინტელიგენციაზე, აგარაკზე მთაში თუ ზღვაზე ... განა არ გვინდოდა, ან ფასი არ ვიცოდით?! სხვათაგან განსხვავებით მაშინვე ვიცოდით (და ახლაც ვიცით!), დაჩაგრულ, თავისუფლებააყრილ ქვეყანაში არ შეგერგება ღალატიანი ლუკმა (შადიმანის შთამომავლებთან ბოდიში!).

ნაკლებგათვითცნობიერებულ ახალგაზრდებს 9 აპრილის რეალობაში გვეგონა, რომ ჩაი, ბორჯომი და ღვინო აავსებდა ქვეყნის ხაზინას, აკი ერთმა ვაი (დღემდე!) პოლიტიკოსმა ბრძანა: მიწის გადასახადს ქართველი არ გადაიხდის! იმიტომ რომ იმიტომო! ღმერთო, რამდენი ტყუილი და სისულელე მოგვისმენია, რამდენჯერ მივანდეთ საფიცარი სამშობლო ავანსად მავანთ და საერთოდ, რამდენი წელია ამ დღეში ვართ?!

მაშინ, სანატრელი პოლიტიკური რომანტიზმის მომხიბვლელ შუქჩრდილებში, მხოლოდ ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან საუბრისას თუ გვიფიქრია, რომ ნებისმიერ სამყაროში (ვიგულისხმოთ ის, როგორიც გვინდა) თავისუფლება ესაა გონიერი მოქმედების უფლება. თავისუფალი ვარ ე.ი. როგორც არ უნდა მიჭირდეს, უნდა მოვიძიო საკუთარი ქმედების ნორმა და საკუთარ თავზე უნდა ავიღო თავისუფლების სიმძიმე.

ჩვენ ისევ რუსთაველზე ვდგავართ. და როგორი უსიამოვნოც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა მიჭირდეს, როგორც არ უნდა მეშინოდეს, მაინც ვფიქრობ – იძენს თუ არა რაოდენობრიობა თვისებრიობის ხარისხს?

ბატონებო! მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთობლიობა (!) ქმნიდა და ქმნის თანამედროვეობის დროულ სურათს. გაჭირვებისას თითოეულზე ცალკე ფიქრი



ხალიჩაზე ფერის გარჩევას ჰგავს, თუ რეალობის აღქმაა საჭირო – სამივე უნდა დავინახოთ სრული არსით. შთამომავლობისათვის უმთავრესია იცოდეს, რასა აქვს მამულიშვილისათვის მუდმივი ღირებულება – გარდასულის გააზრებას თუ თანამედროვეობის მიერ შექმნილი ქვეყნის ეთიკურ და ზნეობრივ არსს?

ქართველისათვის მშობლიური ენისადმი დამოკიდებულება მრავალმხრივად საინტერესო იყო. თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვა გაცილებით მეტი იყო ვიდრე ურთიერთობის საშუალება, მეტიც, ვიდრე პოეტური მეტყველების იარაღი. ამიტომაც თავგამოდებით ვიბრძოდით ამ ღვთაების თავისთავადობისა და შეურყვნელობისათვის. ამ დღეებში კი “უცოდველ” შეცდომად ისმის - “მრავალი საქართველოს მოქალაქე”, “ბევრი არგუმენტები”...

იყო ისეთი დროც... წინაპართა ნაგებ ეკლესია-მონასტრებში სტუმარი-მასპინძლის უფლებით ხატები გადაგვიღებეს, გაგვითეთრეს, “გაგვილამაზეს”... მერე დარჩენილი ეკლესიებიდან მრავალი “საკუთარი ხელით” დავანგრიეთ, მერე უმადურმა სტუმარმა ზურგში დანა ჩაგვარტყა და ენის წართმევა მოგვინდომა, სამაჩაბლოც ოსეთად მოიჩვენეს, აფხაზეთი ერთმორწმუნე, მდიდარი მეზობლის სააგარაკოდ აქციეს...

ორიათას წელზე მეტია ქადაგებს უფალი – “უკეთუ თვალი შენი გაცდუნებდეს, ამოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობესია არ გქონდეს იგი, ვიდრე მთელი სხეული შთანთქას გეენიამ, გიყვარდეს მოყვასი შენი, თუ მოყვასს სურდეს პერანგი შენი, მიეცი მას სამოსელი”... გადადიოდა უფალი ჩვენს წინაპრებში სიტყვით, სიკეთით, სიყვარულით...

მაგრამ “ჰანიბალი ჭიშკართან იდგა” და მისი მცდელობით ხშირად ცხოვრება დისპროპორციულ

დისპროპორციული ცხოვრებაში

მოვლენათა განვითარების ლოგიკა აუცილებელი არ არის?

(დისპროპორცია - პროპორციის უქონლობა, მთელის ცალკეული ნაწილების ერთმანეთთან შეუფარდებლობა, შეუსაბამობა) სარკეში დანახული რეალობა ხდებოდა, ისეთი, თეატრის დაბადების გარიჟრაჟზე რომ მოიგონეს ემოციის გასამძაფრებლად, მნახველთა გასაოცებლად, შესაშინებლად, დასამორჩილებლად, მათზე საბატონოდ – ეს პარადოქსი კი არა, ქართველთა ბედისწერა იყო.

ახალ ტექნოლოგიებს უმარტივესი ხერხებით შეუძლიათ შექმნან წარმოუდგენელი სურათები, ეს მხოლოდ ილუზიაა, მაგრამ მაყურებლისათვის სიმართლეა, რადგან ვერ ვამჩნევთ პირობითობის ტექნიკურ ელემენტს. რა დაემართებოდა ამ სიმართლეს, შემქმნელთა შუბლზე გაწყვეტილი ძარღვი რომ ჩანდეს?

როგორც ადამიანის, ასევე ქვეყნის ცხოვრებაშიც დგება ეტაპი, როდესაც იწყება უცნაური რამ – მორალური, ზნეობრივი და უბრალოდ ადამიანური ვითარებები ისეა არეული, თითქოს მოვლენათა განვითარების ლოგიკა გამჩენისათვის აუცილებელი არ იყოს და მას უფლება ჰქონდეს ეკლექტიზმი ლოგიკად ჩათვალოს და ამის მიხედვით შეიქმნას რეალობა.

იღბალს მინდობილმა ქართველებმა ყოველთვის იცოდნენ (ან იქნებ გრძნობდნენ!), რომ არ არსებობს მოქმედება თავისთავად გამოთიშული გარემოდან და ჩვენი მორალური წარმოდგენებიდან, ამიტომ ზრუნავდნენ ერისკაცები მორალის დაწმენდასა და ამ სიწმინდის ყოფაში გადატანაზე.

საზოგადო ჭირი ნათლად აჩენს ენის, მამულის ცხოვრება-განვითარების ეტაპს. ამასთან, სარწმუნოების დაცვა ქართველობის დაცვას ნიშნავდა. ყოველივეს ერთობლიობა ქმნიდა ცხოვრების გზას. ჩვენ ხომ გზის მარადიული ძიების პროცესში ვართ.

ილია წერდა: “რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ღანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმადხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალთურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ” და მაინც ....

ბოლოსიტყვაობის მაგიერ

გუშინ ჩემმა მეგობარმა პოეტმა მაია წიკლაურმა ფეისბუკზე დაწერა: “ყველაფერი მახსოვს კარგად, გალაკტიონიც, გაფრინდაშვილიც, აბესაძეც, ანწუხელიძეც, ნაციც, ქოციც, აფხაზეთიც, ქართლიც, რუსიანობაც, უზნეობაც, უგვანობაც, უტვინობაც... ყველაფერი... მხოლოდ იმ დროს ვერ ვიხსენებ, როცა მშვიდად, თავისუფლად, ბედნიერად და ღირსებით ვცხოვრობდით... მახსოვს, რომ ნამდვილი გმირები უსხამდნენ და უსხამენ სისხლს ამ ქვეყანას, ნამდვილი შეწირულები, ნამდვილი ადამიანები, ნამდვილი მწერლები, ნამდვილი გლეხები, პედაგოგები, ნამდვილი ბერ-მონაზვნები, ნამდვილი პატრიოტი ახალგაზრდები... ისინი იყვნენ და იარსებებენ. და როცა გული ამომიტრიალდება და მეგლიჯება ამდენ უსამართლობაზე, როცა საკუთარი უსუსურობაც მკლავს, მათი იმედი მაქვს. მათში ხმიანობს ჩვენი საქართველოს წილი ღმერთიც და იმედიც. ცოტანი არიან თუ ბევრნი, მთავარია, რომ არიან!”

მე მას ვეთანხმები.

ნანა მერებაშვილი.

ბუფერულ ზონაში მცხოვრები ბავშვებისათვის

"გულის მზე სიყვარულია, სიყვარული ზრდის და აცოცხლებს გულს" – ეს შთამბეჭდავი, მრავლის მთქმელი სიტყვები ეკუთვნის ცნობილ მწერალს, ქართული კლასიკური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული სიტყვის ჩუქურთმადმჭრელ გიორგი შატბერაშვილს...

ამ დიდი და სახელოვანი მწერლის სიტყვებით მინდა დავიწყო ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ ირაკლი მეზურნიშვილისადმი სამადლობელი ამბის თხრობა, რამეთუ, იგი მოსწავლე-ახალგაზრდობის გულმხურვალე მხარდამჭერია. კარგად მოგეხსენებათ, რომ ბუფერულ ზონაში მცხოვრები ბავშვებისათვის ერთი თბილი სიტყვაც კი დიდი მადლია, ხოლო კონკრეტული დახმარება, გულისხმიერების გამოჩენა ხომ ენით აუწერელი შვება გახლავთ. აი, სწორედ ასე ითქმის ქვემო ჭალის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელების მაგალითზე. საქმე ის გახლავთ, რომ დეპუტატის უშუალო ინიციატივითა და ორგანიზებით ქვემოჭალელი ბავშვების გასამხნევებლად მოეწყო ექსკურსია საქართველოს პარლამენტში, მანამდე კი, საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენლებმა ხატია ბაინდურაშვილმა და ლაშა ზუბიაშვილმა ოპერატიულად მოაგვარეს დედაქალაქში გამგზავრების ყველა საკითხი.

30 ოქტომბერი, შემოდგომის ეს უმშვენიერესი დღე დიდხანს ემახსოვრებათ ჩვენს ახალგაზრდებს, რომლებიც მოკრძალებული, მაგრამ თამამი ნაბიჯებით მიუყვებოდნენ პარლამენტის დერეფნებს და თავშეკავებულ, სასიამოვნო წამოძახილებს ვერ ფარავდნენ კაბინეტების კარზე ყოველი ნაცნობი გვარის ამოკითხვისას...

დიდი ინტერესითა და გულდადებით ისმენდნენ ბავშვები ექსკურსიამძღოლის მოთხრობილ ისტორიას. საოცარი განწყობა, განსაკუთრებული სულისკვეთება იგრძნობოდა იუნკერთა სადიდებლად მოწყობილ ოთახში; შთამბეჭდავი იყო საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ფოტოებით მოფენილი გარემო.

ბავშვები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ 1918-1921 წლების ცნობილი მოვლენების ამსახველ ფოტოკოლაჟს...

ჩვენი სამშობლოს პატარა ქართველებმა, ქვემოჭალელმა მოსწავლეებმა მოწიწებითა და სიამაყით, ინტერესით დაათვალიერეს წმინდანი მეფეების, დავითისა და თამარის დარბაზები და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. ყველასთვის სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ სპეციალურად ამ დღისთვის განუმეორებელი სილამაზის ვენიდან ჩამოტანილი ჭაღი, რომელიც პარლამენტის ეზოში არსებულ ეკლესიას ამშვენებს.

მოკლედ, ჩვენი ექსკურსიის ერთ-ერთი ემოციური, მე ვიტყოდი, კულმინაციური ნაწილი გახლდათ პარლამენტის სხდომათა დარბაზში მიპატიჟება. პარლამენტის თავმჯდომარე როგორც საპატიო სტუმრებს, დიდი გულისხმიერებით მიესალმა მოსწავლეებს, პარლამენტარები კი ტაშით შეხვდნენ მოსწავლეებს.

აი, ასე საინტერესოდ დასრულდა ჩვენი სტუმრობა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, ბავშვები ემოციებს ვერ მალავდნენ.

გამომშვიდობებისას მოსწავლეებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ჩვენი რაიონის დეპუტატს ირაკლი მეზურნიშვილსა და საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენლებს გულისხმიერებისა და სიყვარულით სავსე შეხვედრისათვის.

მარინე მესროფაშვილი.

მაესტროს სახელით

ქართული ქორეოგრაფიის მეტრი, ლეგენდარული რევაზ ჭოხონელიძე კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ კასპელები, მის მიერ დაარსებული შვილობილი ცეკვის აკადემია "დიდგორი" და ამ ანსამბლში დაფრთიანებული მრავალი თაობის მოცეკვავე ალბათ, კიდევ დიდხანს იამაყებს ტიტულოვანი მაესტროს სახელით...

რა აკავშირებს ბატონ რეზოს კასპთან? გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კავთისხევში მისი ერთ-ერთი სტუმრობისას დიდმა მაესტრომ ომარ კელაპტრიშვილმა სთხოვა ბატონ რეზოს კასპში დაეარსებინა ქორეოგრაფიული ანსამბლი. ომარს გულით ეწადა ჩვენს რაიონში ერთხელ და სამუდამოდ შექმნილიყო პროფესიონალური ქორეოგრაფიული კოლექტივი და სხვათა შორის, მისი სახელწოდებაც "დიდგორი", სწორედ ამ შეხვედრისას შეირჩა. დიდი ხანი არც გასულა ანსამბლის გახსნიდან და "დიდგორმა" რეზო ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით მოიპოვა სახელი და დიდება, პოპულარობა. კასპის რაიონში არ ჩატარებულა მნიშვნელოვანი ღონისძიება, საზეიმო თუ სამთავრობო შეხვედრა, სადაც "დიდგორი" არ მონაწილეობდა, თანაც სრული ანშლაგით,

ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინ, მაყურებელმა სცენაზე იხილა რეზო ჭოხონელიძის სცენარით, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით დადგმული, არაჩვეულებრივი ცეკვა "დიდგორი," კასპელები და არა მხოლოდ ისინი დღემდე სიამაყით აცხადებენ: - " ბატონმა რეზომ რვა საუკუნის შემდეგაც ცეკვით მოიგო დიდგორის ბრძოლაო"...

ბევრი ჰქონდათ გასახსენებელი, საინტერესო მოსაგონარი შეხვედრის მონაწილეებს, ჩვენს მოცეკვავეებსა და ქორეოგრაფებს, მოწვეულ სტუმრებს ახლახან ქალაქის კულტურის ცენტრში გამართულ ხსოვნის საღამოზე, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი /დირექტორი ზაზა მჟავანაძე/, ღონისძიების წამყვანი გახლდათ ცნობილი ტელეწამყვანი ზაზა ალექსიძე...

კონცერტში მონაწილეობდნენ: ვარსკვლავოსანი ცეკვის აკადემია "დიდგორი" /სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფები დარინა პაპაშვილი და სოსო ღვინიაშვილი /, რომელმაც შეასრულა სამი ცეკვა "მთიელთა კაფია", "რაჭა ჩემი სიყვარულია" და "აჭარული მოტივები",

კავთისხევის საჯარო სკოლასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი /ქორეოგრაფი მანანა კვესიაშვილი/ "სიონი", რომელმაც შეასრულა "კავკასიური", "ქართლ-კახური" და "სადარბაზო", კავთისხევი-თვალადის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი /ხელმძღვანელი შორენა ამირეზაშვილი/ "კავთურა", ანსამბლმა შეასრულა "აჭარული", კონცერტში მონაწილეობდა აგრეთვე, ზემო ხანდაკის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი "ტაშარი", შესრულდა ცეკვა "ქალ-ვაჟთა მთიულური", საინტერესო იყო ანსამბლების "კავთურისა" და "ტაშარის" გაერთიანებული გამოსვლა, ამჯერად, მათ მაყურებელს შესთავაზეს ცეკვა "ზეიმი მთაში", აპლოდისმენტები დაიმსახურა ჯემალ ნავროზაშვილის სახელობის მეტეხის კულტურის სახლის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა /ხელმძღვანელი ცისანა დარჩიაშვილი, რომლის აღზრდილმა ტანმოვარჯიშემ ლიზი ყურაშვილმა ამჯერადაც მოხიბლა მაყურებელი თავისი გამოსვლით/ "მეტეხმა", მაყურებელს წარუდგინა "რაჭული" და "მთიულური", კონცერტში მონაწილეობდა აგრეთვე, ქალაქის კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი /ხელმძღვანელი მარიკა ბიჭიკაშვილი/ "ფერხული". რომელმაც შეასრულა "აჭარული" და "ჯეირანი", შთამბეჭდავად გამოვიდა ხოვლის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი /ხელმძღვანელი მერი მამუკაძე/ "მერიემი", რომელმაც შეასრულა "დავლური ქართულით" და "ქალთა ხევსურული".

კონცერტზე გაჟღერდა ფრიად საინტერესო განცხადებები: საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ქორეოგრაფიაში ნაყოფიერი მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით მერი მამუკაძე დააჯილდოვა "დამსახურებული პედაგოგ-ქორეოგრაფის წოდებით", ხოლო მეტეხელი ტანმოვარჯიშე, პატარა ლიზი ყურაშვილი დაჯილდოვდა საზღვარგარეთ უფასო მოგზაურობით.

ხსოვნის საღამოს ბოლო ნაწილი დაეთმო მოცეკვავეების დაჯილდოებას. ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა კონცერტში მონაწილე ყველა მოცეკვავეს გადასცა სახელობითი დიპლომი, ხოლო ანსამბლების ხელმძღვანელებსა და ქორეოგრაფებს გადასცეს საზღვარგარეთ / ბულგარეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში/ საგასტროლო ვაუჩერები.

კონცერტს ესწრებოდნენ "დიდგორის" პირველი თაობის მოცეკვავეები, რომელთა შორის გახლდათ დიდი რეზო ჭოხონელიძის ვაჟი კახა ჭოხონელიძე და სუხიშვილების, "ერისიონის" წამყვანი მოცეკვავე ტარიელ მილაძე, რომლებმაც გულითადი მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს დაუვიწყარი შეხვედრის გამართვისათვის...

ღონისძიების ორგანიზატორებმა, მოცეკვავეებმა და ქორეოგრაფებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ყოველი წლის ნოემბრის პირველ კვირას სახელოვანი ქორეოგრაფის პატივსაცემად და ხსოვნის უკვდავსაყოფად ჩვენს რაიონში გაიმართოს "რევაზობა".

ქეთევან მონასელიძე.

ფესტივალი „მომავალი ჩვენია„

ოქტომბრის მიწურულს ქალაქ მცხეთაში, კულტურის სახლში გაიმართა ქორეოგრაფიული ფესტივალი "მომავალი ჩვენია", რომლის ორგანიზატორი გახლდათ საქართველოს ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი / დირექტორი ზაზა მჟავანაძე/. ფესტივალის მონაწილეთა შორის იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის

დავით ჯავრიშვილისა და რევაზ ჭოხონელიძის სახელობის ბავშვთა სახალხო, სანიმუშო ვარსკვლავოსანი ცეკვის აკადემია "დიდგორის"/ სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფები: დარინა პაპაშვილი და იოსებ ღვინიაშვილი/ მოცეკვავეები...

ფესტივალის გახსნის პატივი წილად ხვდათ "დიდგორი-3"-ის მოცეკვავეებს. როგორც თვითმხილველები ყვებიან ეს იყო "დიდგორი-3"ის ტრიუმფალური გამოსვლა. აღფრთოვანებული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს დიდგორელების მიერ შესრულებულ ცეკვას "რაჭა ჩემი სიყვარულია".

კასპელი მოცეკვავეები მცხეთიდან ხელდამშვენებული დაბრუნდნენ. "დიდგორი-3-ის" ყველა მოცეკვავე და მათი ხელმძღვანელები ფესტივალში წარმატებული გამოსვლისათვის დაჯილდოვდნენ სახელობითი დიპლომებით.

ცეკვის აკადემია "დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელი ქალბატონი ქეთევან მონასელიძე დაჯილდოვდა მადლიერების სიგელით. და კიდევ ერთი სიურპრიზი: "დიდგორი-3" მიწვეული გახლავთ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქალაქ ნესებრში საგასტროლოდ.



ფოტო-რეპორტაჟი მოამზადა ლაშა ზყბიაშვილმა

ᲙᲐᲡᲞᲝᲑᲐ 2019

კასპობა – 2019

სახალხო დღესასწაული კასპობა ყოველი წლის შემოდგომაზე იმართება ჩვენს ქალაქში და რასაკვირველია, წელსაც ორგანიზებულად, ლამაზად აღინიშნა ქალაქობა, რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ მუნიციპალიტეტის მერია, რა თქმა უნდა, ამ დიდი ღონისძიების მომზადებასა და ორგანიზებაში, სადღესასწაულოდ ქალაქის გალამაზებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურებმა, საინფორმაციო მხარდამჭერი გახლდათ გაზეთი "ახალი განთიადი".

3 ნოემბერს დღის 12 საათზე სტუმარ-მასპინძლით აივსო ქალაქის ცენტრალური ნაწილი, სააკაძის მოედანი და კულტურის ცენტრის შემოგარენი, ეს ხალხმრავალი დღესასწაული კიდევ უფრო დაამშვენა უჩვეულოდ თბილმა და მზიანმა დარმა...

თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა საგანგებოდ მოწყობილი ქალაქური სცენა, რომელსაც ამშვენებდა ბანერი წარწერით – " გილოცავთ სახალხო დღესასწაულ კასპობას". ნაირგვარი ნობათით, შემოდგომის ხვავითა და ბარაქით მორთული ტიპიური, იმიტირებული "ქართლური" სოფლები მასპინძლობდნენ სტუმრებს. მოკლედ, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოდგენილი ჰქონდა საშემოდგომო, გალამაზებული კუთხე. ინდმეწარმეებმაც საგანგებოდ გამოფინეს თავიანთი პროდუქცია.

განსაკუთრებული ხალისი იგრძნობოდა გასართობ ატრაქციონებთან, პატარების დაუსრულებელი რიგი იდგა სასრიალოებთან, საქანელებთან, დიდ-პატარას ხიბლავდა, ანდამატივით იზიდავდა საგანგებოდ მოწყობილი კომფორტული ბატუტი. ბავშვებსა და ქალაქის სტუმრებს ახალისებდნენ, საზეიმო განწყობას უქმნიდნენ აქვე, ახლოს მოსეირნე ზღაპრის გმირები, ანიმატორი და ხალისიანი, მუდამ მხიარული, ემოციური დიჯეი. ცენტრალურ მოედანზე მთელი დღის განმავლობაში შეხვდებოდით ფაეტონით მოსეირნე წყვილებს, თავგადასავლებისა და კოლორიტის მოყვარულ ახალგაზრდებს, ინტერესიან მოზარდებს. ისმოდა ხალისიანი შეძახილები, დიდი ხნის უნახავი ნაცნობ-მეგობრები ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებას.

დღესასწაულს ძალიან ალამაზებდა ძველებურ სამოსში გამოწყობილი მედუდუკეთა ანსამბლები, რომლებთანაც სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ გოგო-ბიჭები.

ქალაქობის მშვენება გახლდათ საგანგებოდ მოწყობილი სპორტული სივრცე, რომელსაც დიდი ადგილიც ეკავა და განსაკუთრებულ ყურადღებას, ინტერესს იწვევდა. სახელდახელოდ მოწყობილ არენებზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აქაური ახალგაზრდები ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა თუ კარატეში, მინი ფეხბურთსა თუ სხვა სპორტულ აქტივობაში. ქალაქობის სტუმრების ყურადღებას იპყრობდა ფერწერული, თექისა და ხელნაკეთი ორიგინალური ნივთების, ლამაზი წნულების გამოფენა.

წინა წლების მსგავსად სწორედ კასპობის დღესასწაულზე დასახელდნენ გასული სასწავლო წლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები: კასპის პირველი საჯარო სკოლიდან ლალი ოსიყმიშვილი /ოქრო/, ლედი ონეზაშვილი /ვერცხლი/, სოფია პავლიაშვილი /ვერცხლი/, დავით ფეიქრიშვილი /ვერცხლი/, კასპის მეორე საჯარო სკოლიდან ანი თეზიაშვილი /ვერცხლი/, მარიამ კაჭიური /ოქრო/, ოთარ მამაცაშვილი /ოქრო/, გიორგი ქესაური /ოქრო/, ახალქალაქის საჯარო სკოლიდან ნინო დავითაშვილი /ოქრო/ და გვანცა მამაცაშვილი /ვერცხლი/, ტარიელ შარიფაშ

დასასრული გვ-6.

ქალაქობა 2019

დასასრული.

ვილის სახელობის ზემო ხანდაკის საჯარო სკოლიდან შორენა ქამხაძე /ვერცხლი/, ოკმის საჯარო სკოლიდან ქეთი მარგიევი /ოქრო/, მარიამ პაპიაშვილი /ოქრო/, მედეა შუკაკიძე /ოქრო/ და თამარ ხუროშვილი /ოქრო/, გიორგი მაზნიაშვილის სახელობის სასირეთის საჯარო სკოლიდან გიგა ბერიაშვილი /ვერცხლი/, ეთერ ბიჭიკაშვილი /ვერცხლი/ და მაკა მაისურაძე /ვერცხლი/, ქვემო ჭალის საჯარო სკოლიდან თამარ ბათილაშვილი /ვერცხლი/ და თათია ბერიანიძე /ვერცხლი/, შპს ბესიკ ნიპარიშვილი მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია: ნათია ბექური /ვერცხლი/ და გიორგი მენაბდიშვილი /ვერცხლი/. ყველა მედალოსანი კასპის მუნიციპალიტეტმა დაასაჩუქრა ფულადი ჯილდოთი.

სახალხო დღესასწაულის მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, დამსწრე საზოგადოებას გულითადად მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი, რომელმაც სამახსოვრო საჩუქრები გადასცა მედალოსნებსა და წარმატებულ, ახალგაზრდა მეწარმეებს, მუნიციპალიტეტის სახელოვან სპორტსმენებს. დღესასწაულს სტუმრობდა კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი.

ღონისძიების მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ, როგორც ადგილობრივი ქორეოგრაფიული კოლექტივები და ფოლკლორული ანსამბლები, მომღერლები და ინდივიდუალური შემსრულებლები, ასევე დედაქალაქიდან სპეციალურად დღესასწაულზე მოწვეული ცნობილი და აღიარებული სახეები.

როგორც ყოველთვის, ახლაც აპლოდისმენტებით, შეძახილებით ხვდებოდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლების გამოსვლებს, შესრულდა ცეკვები: "ქართული დავლურით" /ქორეოგრაფი მაკა დათაშვილი/, "ცეკვა-თამაში" /ქორეოგრაფი ხათუნა გაგაძე/, "კავკასიური" /ქორეოგრაფი ინგა თაბუკაშვილი/, "მუხამბაზი" /ქორეოგრაფი მარიკა ბიჭიკაშვილი/, "მთიელთა კაფია" /ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე,/ "ლაზური", /ქორეოგრაფი მაკა დათაშვილი/, "აფხაზური" /ქორეოგრაფი ხათუნა გაგაძე/.

საზეიმო კონცერტზე შთამბეჭდავად გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი", რომლის მიერ შესრულებულმა ქართულმა "მრავალჟამიერმა" აპლოდისმენტები და მოწონება დაიმსახურა, დიდი მოწონება ხვდა წილად ჩვენი ქალაქის მკვიდრის ზაზა მენაბდიშვილის მიერ შესრულებულ საესტრადო სიმღერებს.

დიდხანს უკრავდა ტაშს მაყურებელი აღაიანის სასოფლო კლუბთან არსებულ ხალხურ საკრავთა ანსამბლ "თხოთს" /ხელმძღვანელი თამაზ დურგლიშვილი, რომელმაც შეასრულა ქართული სიმღერების პოპური, აპლოდისმენტები დაიმსახურა კასპელი პედაგოგის ხათუნა ხაჩიძის მიერ შესრულებულმა საესტრადო სიმღერებმა. განუმეორებლები იყვნენ კავთისხევის სასოფლო კლუბთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლის /ხელმძღვანელი ნანა შალიტაური/ "კავთურას" ბიჭუნები, რომლებმაც შესანიშნავად შეასრულეს "დოლური", კონცერტი გაალამაზა მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის მიხეილ ქოსაშვილის საესტრადო ნომრებმა.



მოუთმენლად ელოდნენ აქაური მაყურებლები და არა მხოლოდ ისინი თბილისიდან ჩამოსული მუსიკოს-შემსრულებლების გამოჩენას. რამდენიმე ხნით ადრე კასპელებმა დანამდვილებით იცოდნენ, რომ ქალაქობაზე უნდა გამოსულიყვნენ მაყურებლის ფავორიტი და პოპულარული მომღერლები... და ეს დროც დადგა, დღის ბოლოს /საღამოს უძღვებოდა გიორგი ბაგრატიონი/ სცენა დაეთმო მოწვეულ სტუმრებს. მაყურებელმა ოვაციებით მიიღო ცნობილი ბენდი "ნიუტონი" და პოპულარული მუსიკოს-შემსრულებელი ზვიად ბოლქვაძე.

სახალხო დღესასწაული კიდევ უფრო დასამახსოვრებელი და საზეიმო გახადა სატელევიზიო კონკურსის "მხოლოდ ქართულის" მონაწილე მომღერლების სოფო ბათილაშვილის (კონკურსის გამარჯვებული), ნუცა თოფურიას, გიორგი ცხადაძის გამოსვლამ. სადღესასწაულო გალა-კონცერტის ნამდვილი მშვენება გახლდათ ცნობილი თეატრმცოდნე, ტელევიზიის პოპულარული წამყვანი ნიკა წულუკიძე, რომელსაც ღონისძიების გაძღოლაში ეხმარებოდა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე...

გვიანობამდე ისმოდა ელექტრონული მუსიკა და ქართული საესტრადო მელოდიები, იყო საზეიმო განწყობა, ყველა ხალისობდა, ეს მშვენიერი დღე ლამაზი ფეიერვერკით დასრულდა.

რ. ქართლელიშვილი.

სიახლე: მოდიან კასპელი მოჭიდავე გოგონები

"სუსტი სქესის" წარმომადგენლები ქართულ ძიუდოსა და სამბოში თავიანთ წილ სათქმელს სულ უფრო ხმაურიანად ამბობენ, შარშან და წელს ჭიდაობის ორივე პოპულარულ სახეობაში უკვე გამოჩნდნენ ევროპისა და მსოფლიოს ქართველი ქალი-ჩემპიონები.

კასპელი გოგონები აქამდე თუ საერთოდ არ ჩანდნენ საჭიდაო არენებზე, ამიერიდან ჩვენშიც სასიკეთოდ იცვლება საერთო სურათი. შორს აღარაა ის დრო, როცა საქართველოს ქალ ძიუდოისტთა და სამბისტთა ასაკობრივ და უფროსთა ნაკრებებში წამყვან პოზიციებზე ჩვენებურებიც გამოჩნდებიან, რადგანაც სპორტკომპლექსის ხელმძღვანელობის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქალთა შორის ჭიდაობის შემდგომი დაოსტატების პროგრამას.

ასეთი ოპტიმისტური განწყობილების საფუძველს ნამდვილად იძლევა რამდენიმე მათგანის შედეგიანი და წარმატებული გამოსვლა შიდასაქვეყნო შეჯიბრებებში (და არა მარტო აქ):

შუა ოქტომბერში, მაგალითად, საქართველოს დედაქალაქის ღია პირველობაზე ("თბილისის თასი") დამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ დოესელი ეკა რაზმაძე და ზემოხანდაკელი მანანა მალაციძე: ეკა ჩემპიონი გახდა, მანანა კი მესამე იყო. სხვათა შორის, პირველმა წლის დასაწყისში სულაც საქართველოს პირველობა მოიგო გოგონებში, ხოლო მეორემ აგვისტოში გაიმარჯვა შესარჩევ ტურნირში, რომელიც მსოფლიო პირველობის საგზურს იძლეოდა... ამდენად, მადლობას იმსახურებენ მათი მწვრთნელები – ჯემალ ხორბალაძე და ბერდია ბახტაძე, რომელთა მიზანმიმართული მუშაობა მხარდაჭერილია სპორტკომპლექსის დირექციის მიერ (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი).

აგერ, ახლახან, ნოემბრის დასაწყისში, თბილისში ეკასა და მანანას აღარ უჭიდავიათ, მაგრამ, სამაგიეროდ, თავი სხვებმა გამოიჩინეს გიორგი ველიჯანაშვილის სახელობის ხსოვნის მემორიალურ ტურნირში. იქ ერთბაშად კასპელი სამი მარიამი გახდა მესამე საპრიზო ადგილების მფლობელი: მეტეხელი მარიამ სანთელაძე, იგოეთელი მარიამ კუნდუხაშვილი და ლამისყანელი მარიამ გულდედავა (მათი მწვრთნელები არიან, შესაბამისად, ნუგზარ მამულაშვილი, ბერდია ბახტაძე და გიორგი ბეინაშვილი).

ჩვენი გოგონების სპორტული მხარის პერსპექტიულობაზე როცა ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია ასეთი გარემოებაც – ისინი რაიონის სხვადასხვა სოფლიდან არიან, ასეთი ფართო გეოგრაფიული არეალი კი ნიშნავს, რომ "ქალური ჭიდაობა" სულ უფრო პოპულარული ხდება, საერთოდ, ქართულ სოფლებშიც, ანუ, არა მარტო დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში.

ლუკა ორბელაშვილის რეკორდი საქართველოსათვის, რომელიც მსოფლიო ნიშნულზე უმჯობესია!

"ახალი განთიადის" მეშვეობით წლევანდელ აგვისტოში ფართო პუბლიკას უკვე წარვუდგინეთ მიმდინარე სპორტული სეზონის ჭაბუკი გმირი – 17 წლის ძალოსანი, წოლჭიმში (ძალისმიერი სამჭიდის სახეობაში) ევროპის რეკორდსმენი ლუკა ორბელაშვილი. შეგახსენებთ, გასულ ზაფხულში მან 19-წლამდელთა საევროპო პირველობაზე გაიმარჯვა ლუქსემბურგის ქ. ჰამში და ბებერი კონტინენტის ახალ რეკორდს საქართველოს "საგზური გამოუწერა".

და, აი, კვლავ გაცნობებთ, რომ ჩვენი ლუკა ესოდენ სასახელო წარმატებას არ დასჯერდა და სულ ახლახან უკეთესი შედეგი დააფიქსირა: ეს მოხდა ქ. ქუთაისში, სადაც ლუკა ორბელაშვილმა 2019 წლის საქართველოს პირველობაზე იასპარეზა და პირად წონით კატეგორიაში ხომ გაიმარჯვა და მერე, აბსოლუტურ ჩათვლაში გამოსვლისას, მის მიერვე დამყარებულ ევროპულ რეკორდსაც გადაამეტა და სულაც მსოფლიო შედეგის გაუმჯობესებას შეეცადა. მან ეს შეძლო, თუმცა, ლუკას ახალი მიღწევა (136 კგ) ოფიციალურად არ აღიარდება მსოფლიო რეკორდად, რადგანაც ჩვენებურ შიდასაქვეყნო პირველობას არ გააჩნია საერთაშორისო დონის სტატუსი (ასეთ შემთხვევაში პარალელი უნდა გავავლოთ ძალოსანი ლაშა ტალახაძის მაგალითთან, როცა საქართველოს პირველობებზე უჩვენა მსოფლიოსაზე უკეთესი შედეგები, მაგრამ არ იქნა აღიარებული).

ასეა თუ ისე, მთავარია შედეგი და, აქედან გამომდინარე, სამომავლო პერსპექტივა, რასაც უაღრესად ნიჭიერი ძალოსანი ჭაბუკის სულ უფრო მზარდი ოსტატობა სახავს. ქუთაისური მიღწევით ამ ეტაპზე უკვე გახდა საერთაშორისო "იფპ"-ის კლასიფიკაციის რეიტინგის პირველადგილოსანი. ახლა ისიც და მისი პირადი მწვრთნელიც, გია მერებაშვილი საგაისო თადარიგს იჭერენ. კასპის სპორტკომპლექსის ფიტნესკლუბში მათი ერთობლივი ვარჯიშები მოტივირებულია უმთავრესი მიზნით: 2020 წლის სამაისოდ ჩეხეთში ჩასატარებელ მსოფლიო ჩემპიონატზე ოფიციალურად გახდნენ რეკორდის შემოქმედნი.

რამდენიმე აბზაცით...

* ძიუდო: ნოემბრის ბოლო დღეს, შესაძლოა, კასპში გაიმართოს საქართველოს ჭაბუკ მოჭიდავეთა შემაჯამებელი წლის პირველობა. მასპინძლები 6-კაციანი გუნდით გამოვლენ. თითოეულმა მათგანმა საამისო უფლება მოიპოვა 9 და 10 ნოემბერს ქ. თელავში გამართული შესარჩევი ტურნირის შედეგების მიხედვით. აი, ისინიც: იოსებ ჟივიძე, ვალერი მღებრიშვილი, გიორგი კალატოზიშვილი, ლევან მამულაშვილი, ნუგზარ გელხაური და გიორგი ხინიზოვი.

* ძიუდო: ევროპის ჩემპიონატი 23-წლამდელებს შორის 2019 წლის 1-2-3 ნოემბერს ჩატარდა რუსეთის ქ. იჟევსკში. საქართველოს ნაკრების სახელით მოასპარეზე ჯაბა პაპინაშვილმა 60 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

* სამბო: ნოემბრის დასაწყისში თბილისში ჩატარებულ ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაზე ჩემპიონობა მოიპოვა ვალერი მღებრიშვილმა (მეტეხი, მწვრთნელი ნუგზარ მამულაშვილი). სულ მალე, დეკემბრის პირველ დეკადაში, ჩვენი წარმომადგენელი ევროპის პირველობაზე იჭიდავებს ქ. რიგაში (ლატვია), სადაც კონტინენტის კადეტი სამბისტები შეიკრიბებიან.

* წოლჭიმი: სპორტკომპლექსის ფიტნესკლუბი 4-კაციანი გუნდით წარდგა საქართველოს ჩემპიონატზე. სასიხარულოა, რომ სამმა მათგანმა გამარჯვება იზეიმა და შინ ქვეყნის ჩემპიონის სახელით დაბრუნდა. აი, ისინი: ლუკა მერებაშვილი, გიორგი კრუპნოვი და ლუკა ორბელაშვილი (ამ უკანასკნელის შესახებ იხილეთ ამავე გვერდზე).

* თავისუფალი ჭიდაობა: სპორტკომპლექსის ჭაბუკმა მოჭიდავემ, რეზი ბერიანიძემ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ოქტომბრის ბოლოს დედაქალაქში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც მასპინძელი მხარის გარდა გამოდიოდნენ: სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ისრაელის ნორჩი მოჭიდავეების ნაკრები გუნდები. ეს შეჯიბრება ტრადიციულია და ატარებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, ბარსელონას ოლიმპიური საზაფხულო თამაშების ჩემპიონის, მსოფლიოს 5-გზისა და ევროპის 4-გზის ჩემპიონის – ლერი ხაბელოვის სახელს.

* ძალისმიერი ხუთჭიდი: ახლო წარსულში რაიონში ათლეტიზმის მწვრთნელის, ნოდარ წერეთლის (1958-2003) ხსოვნას მიეძღვნა ტრადიციული მემორიალური ტურნირი, სადაც კასპისა და სოფლების საჯარო სკოლებიდან მკლავის ძალა მოსინჯა 14-მა მოსწავლე-ძალოსანმა (პროგრამაში შედიოდა: მკლავჭიდი, მწყემსური პაექრობა (ჯოხის წართმევა), გირის აწევა, სიმძიმის დაძლევა და გადაგდება). პირველ ადგილზე გავიდა ქვემოგომელი ალექსანდრე მარიდაშვილი, რომელმაც ოთხ სახეობაში იმარჯვა და სულ 90 ქულა მოაგროვა. მეორე შედეგი აღმოაჩნდა ზემოხანდაკელ მიხეილ ხიზანიშვილს (79 ქულა), მესამე – კასპელ ვალერი დალაქიშვილს (67). ისინი დაჯილდოვდნენ სპორტკომპლექსის დირექციის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით (მენეჯერი ჯუმბერ სიდამონიძე).

* დაჯილდოება: "კასპობა – 2019"-ის სახალხო დღესასწაულის კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა საჩვენებელი პაექრობანი ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, შაშსა და ჭადრაკში, ფეხბურთში. ასევე, სპეციალური პრიზებითა და საზამთრო დასასვენებელი საგზურებით დაჯილდოვდა 2019 წლის სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დიდი ჯგუფი.

გილოცავთ!

მარიამ მანძულაშვილი – ევროპული შეჯიბრების ორგზის გამარჯვებული

კიდევ ერთ წარმატებულ სპორტსმენ გოგონას, 12 წლის კასპელ კარატისტ მარიამ მანძულაშვილს გაგაცნობთ:

ეს ის მარიამია, რომელმაც პირად მწვრთნელ-მამასთან, ალექსანდრე მანძულაშვილთან, ერთად 2019 წლის მაისში ფრიად შედეგიანად იასპარეზა რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში. იქ გამართული მსოფლიო მეათე ჩემპიონატიდან ოჯახურმა დუეტმა შინ 4 მედალი წამოიღო, საიდანაც 3 მედალი მარიამის წილად მოდის.

ეს კი ცინცხალი ინფორმაციაა კასპის მესამე საჯარო სკოლის მერვეკლასელი მარიამის მორიგი, ამჯერად ევროპული, წარმატების შესახებ: 2019 წლის 2 ნოემბერს ჩრდილო მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში, "შოტოკან კარატეს" მსოფლიო მეთერთმეტე ჩემპიონატში, 24 ქვეყნის 1400 სპორტსმენი შეიკრიბა. საქართველოს ნაკრების სახელით მოასპარეზეებმა 6 ოქროსა და 3-3 ვერცხლ-ბრინჯაოს მედალი მოინადავლეს. მათგან ყველაზე ხელხვავიანი კასპელი გოგონა აღმოჩნდა: დიახ, მარიამმა გაიმარჯვა როგორც თანატოლებთან, ისე მომდევნო ასაკობრივ ჯგუფში (14-15-წლიან მეტოქეებთან).

ტრადიციების გადასარჩენად „წნულის„ სამყაროში

ქართული ტრადიციების, ყოფაცხოვრების, მისი ნივთიერი და სულიერი კულტურის გასაცნობად კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი/ მხარეთმცოდნეობის წრის ინიციატივით მოეწყო გასვლითი ღონისძიება სოციალურ საწარმო "წნულში". ამ ღონისძიებაში ჩართული იყვნენ აგრეთვე, მოსწავლეთა სახლის ლიტერატურისა /ხელმძღვანელი მანანა ყაბანაშვილი/ და კითხვის საათის /ხელმძღვანელი ჟ.მამულაშვილი/ წრეების აღსაზრდელებიც...

საწარმოში მისულ ბავშვებს გულთბილად დახვდნენ "წნულის" დირექტორი დავით პარკაძე და მისი ოსტატები, რომლებმაც მოსწავლეებს დაათვალიერებინეს აქაურობა, გასაგებად აუხსნეს ყველაფერი, დაწვრილებით ესაუბრნენ იმის შესახებ, თუ როგორ მზადდება "წნული ჭურჭელი".

"საქართველოში ოდითგანვე გავრცელებული იყო წვნა, რომელსაც სხვათა შორის, ქსოვასაც უწოდებდნენ, – განმარტავს დავით პარკაძე, – მინდა იცოდეთ, რომ ჩვენს საწარმოში დასაქმებული ოსტატები წინაპართა კვალს მისდევენ და მხოლოდ ტრადიციული მეთოდებით ამზადებენ ამა თუ იმ ნივთს". ყურადღებას იპყრობს "ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის" მიხედვით ძველ ქართულში წნული ჭურჭლის ტერმინების "სფირიდისა" და "შარაგულის" განმარტებები. სულხან-საბას მიხედვით "სფირიდში" შედის ბალახოვანი მცენარეებისაგან /ჭილი, ბაია / უსაყრდენოდ მოქსოვილი ნივთები, ხოლო "შარაგულში" წნელისაგან დამზადებული ნაწარმი, რაც საყრდენის საშუალებით იწვნება.

მოსწავლეებმა მიხეილ და სალომე სამხარაძეებმა, ლუკა და მარიამ მერებაშვილებმა, ნანა ილურიძემ და ნინო ბერუაშვილმა დაასახელეს წნული ჭურჭლის სახეობები: გოდორი-გოდროხა, ხახალი, ჩელტი-ლასტი, კოლონცხა, კოკოზა, გიდელი და სხვა ნივთები. მხარეთმცოდნეობის წრის წევრმა ქეთევან ჭალისურმა წაიკითხა ამონარიდები მწერალ ნუგზარ შატაიძის "პურის მოთხრობიდან", რომლის მიხედვიდაც ბავშვებმა გაიგეს, თუ რისთვის იყენებდა ქართველი გლეხკაცი კიდობანს, სადაც "ჩთაკრული იყო მახობელიანი პურები". ბავშვებმა აქ გაიგეს აგრეთვე, ხორბლის ჯიშების სახელწოდებები: მახა, ზანდური, ჯუჯა ხორბალი.

ეს ღონისძიება მრავალფეროვანი, დასამახსოვრებელი რომ ყოფილიყო მოსწავლეებმა იზრუნეს და მხატვრული ნაწილით გაამრავალფეროვნეს. უჩა გოგოლაძემ, ნანა ილურიძემ და მიხეილ სამხარაძემ პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსები წაიკითხეს. ყველას მოაწონეს თავი პატარა ლიტერატურული წარმოდგენა სახელწოდებით "მოდი, ვნახოთ ვენახი"– გამართეს. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ პირველკლასელები: ბარბარე კაჭიური, მარიამ ჟივიძე, ბარბარე ჩარაევი, მარიამ ყაზარაშვილი.

– ეს გასვლითი ღონისძიება გარკვეულ მიზნებს ემსახურებოდა და ბუნებრივია, მან თავისი ფუნქცია შეასრულა კიდეც, – აცხადებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი, – საქმე ის გახლავთ, რომ ბავშვები უნდა იცნობდნენ ძირძველი ქართული ხელობის ისტორიასა და მნიშვნელობას და აქ მიღებული ინფორმაცია ერთმანეთს გაუზიარონ, ადვილი შესაძლებელია ცხოვრებაშიც გამოიყენონ კიდეც.

ექსკურსია საწარმოში ძალიან საინტერესოდ დასრულდა. სტუმრებს ეძნელებოდათ მასპინძლების დატოვება. იმას კი შეჰპირდნენ მოსწავლეებს, რომ ისინი ყოველთვის მზად იქნებიან ხელობა შეასწავლონ, გამოცდილება გაუზიარონ, მარტო მათ კი არა, ნებისმიერ მსურველს შეასწავლიან წვნის ხელობას.

დაბოლოს, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები მადლიერებით გამოემშვიდობნენ მასპინძლებს, რომლებმაც ამ დღის აღსანიშნავად ბავშვებს საჩუქრად გადასცეს ლამაზად მოწნული ხახლები.

როგორ ვაშენებთ მტრობით დანგრეულს

კასპის მეხუთე საბავშვო ბაღის ხუთწლიანი ჯგუფის აღსაზრდელებმა სანახაობრივი, ძალიან საინტერესო აქტივობა ჩაატარეს სახელწოდებით – "რაც მტრობას დაუნგრევია", რომელიც შემოდგომის გაცილებას მიუძღვნეს...

– როგორც სხვა აქტივობის დროს, ახლაც გულდასმით, წინასწარ განვიხილეთ ყველა შემხვედრი ნაბიჯი და ისე გავანაწილეთ დავალებები, – საუბრობს ჯგუფის აღმზრდელი თამარ ნიპარიშვილი,– ერთი სიტყვით, ყველაფერი გავითვალისწინეთ, რომ საჩვენებელი აქტივობა ლამაზი და შთამბეჭდავი ყოფილიყო.

ყველაფერი კი, იმით დაიწყო, რომ ამ 40 წუთიანი მინისპექტაკლის სცენარის "შექმნაში" ყველამ ერთად მიიღო მონაწილეობა. იაქტიურეს აღმზრდელის თანაშემწეებმა: მაია ბაიდაურმა, დინარ ქავთარაძემ, ლია ტყეშელაშვილმა, აგრეთვე, მეთოდისტმა ნაირა დევაძემ, მუსიკის მასწავლებელმა ელენე ხორგუაშვილმა, ღონისძიების მომზადებაში ჩაერთვნენ მშობლებიც.

საყურადღებო გახლავთ ის ფაქტიც, რომ სცენარის მიხედვით მოქმედება მიმდინარეობს სათაგვეთში, ეგრეთ წოდებულ წუნას მარანში და ამდენად, მთავარი როლების შემსრულებლებიც წრუწუნები არიან... მოკლედ. ერთ მშვენიერ დღეს წუნას მარანში, ესე იგი სათაგვეთში იმართება დიდი კრება, სადაც გადაწყდა, რომ სტუმრად მოეწვიათ სასისხლედ გადაკიდებული ორი ფისო /ნიკოლოზ მელაძე და ნიკოლოზ ოდიშვილი/ და მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით, ჩხუბის გარეშე შერიგებოდნენ გადაკიდებულ "მტერს", მერე კი, ყველამ ერთად მოილხინა, ცეკვა-თამაშით გული იჯერა, ბოლოს ეს შეხვედრა დიდ სიყვარულსა და მეგობრობაში გადაიზარდა. აქტივობაში ჩართული იყო 32 აღსაზრდელი, მათ შორის, 4 აზერბაიჯანელი ბავშვი, რომლებმაც ქართული ენა ბაღში ისწავლეს, რაშიც დახმარება გაუწიეს ბაღის აღმზრდელ-მასწავლებლებმა.

– შესანიშნავად გაართვეს თავი ბავშვებმა დავალების შესრულებას, ხალისიანი, ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა ეს საშემოდგომო აქტივობა, ვიდრე გვეგონა, – აცხადებს ბაღის გამგე ლალი მილაძე, – ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ის არის, რომ აქ ნათლად გამოვლინდა 5 წლის აღსაზრდელის შესაძლებლობები. ეს პატარა წარმოდგენა ანუ აქტივობა აუცილებლად წაადგებათ პატარებს, უთუოდ დაეხმარებათ ცნობიერებისა და სულიერების ამაღლებაში.

ღონისძიების მსვლელობისას განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ, აქტიურობდნენ აღსაზრდელები ილია აბუაშვილი, მელიქე ჯემალოღლი, მარიამ ტალახაძე, ლიზი თათრიშვილი, მელისა ჯაფაროვი, ალი ჯაფაროვი. სხვათა შორის, აღმზრდელ-პედაგოგებთან ერთად ბავშვებს გულშემატკივრობდნენ მშობლები: ნათია თეზიაშვილი, ნინო ყავრელიშვილი, ნინო ისმაილოვა და სხვები, რომელთა მცდელობითა და ხელშეწყობით აქტივობის მონაწილე პატარებს ემოსათ ზუსტად თაგუნიების შესაფერისი სამოსი.

ღონისძიებას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, რომელმაც მოკლედ განმარტა საბავშვო დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვის მნიშვნელობა და დადებითად შეაფასა აქ ჩატარებული აქტივობა, მადლობა გადაუხადა ბაღის კოლექტივს, აღსაზრდელებს.

პატარების სტუმარი გახლდათ აგრეთვე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი, რომელმაც საბავშვო ბაღს საჩუქრად გადასცა სასწავლო დიდაქტიკური მასალა. ღონისძიებას ესწრებოდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების წარმომადგენელი მანანა მერებაშვილი. ჯგუფის აღმზრდელმა თამარ ნიპარიშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, განსაკუთრებით კი, აღსაზრდელების მარიამ ტალახაძისა და მარიამ ტურაშვილის დედებს, რომლებიც გვერდიდან არ მოსცილებიან პატარებს და გამორჩეულად გაისარჯნენ.

თვითმყოფადი ფენომენი

იუნესკო გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაა. ის 1945 წლის 16 ნოემბერს დაარსდა. იუნესკოს შტაბ-ბინა პარიზში მდებარეობს. ასევე, ორგანიზაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თემატური ოფისები და წარმომადგენლობები გააჩნია. ამჟამად იუნესკოში გაერთიანებულია 195 წევრი და 9 ასოცირებული ქვეყანა. ბოლო 10 წლის განმავლობაში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხა გაიზარდა და მასში ამჟამად 117 ქვეყნის 470 ელემენტია გაერთიანებული.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა აუცილებლად შენახვას იმსახურებს - განა შეიძლება არ გავუფრთხილდეთ - წეს-ჩვეულებებს, გარემოსთან ურთიერთობისას გამომუშავებულ ცოდნას და უნარებს; ასევე, ამ ყველაფერთან დაკავშირებულ საგნებს, არტეფაქტებს და სივრცეებს, რომლებიც საზოგადოებების, ჯგუფების, ზოგჯერ კი ცალკეული ერის კულტურის ნაწილადაა აღიარებული.

კულტურული მემკვიდრეობა მხოლოდ წარსულიდან შემორჩენილი ძეგლები არ არის. ეს გახლავთ თაობებგამოვლილი ტრადიციები - თვითმყოფადი ფენომენი, რომელიც ერების სოციალურ ცხოვრებასა და იდენტობას ერთმუშტად კრავს.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციის მიზანი (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებთან შეთანხმებით) ამ სფეროს მდგრადი განვითარებაა.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა შემდეგ სეგმენტებს მოიცავს: ა) ზეპირსიტყვიერი ტრადიციები და თვითგამოხატვის ფორმები, მათ შორის, ენა; ბ) საშემსრულებლო ხელოვნება; გ) წესები, რიტუალები, დღესასწაულები; დ) ბუნებისა და სამყაროს აღქმასთან დაკავშირებული ცოდნა და ჩვეულებები; ე) გამოცდილება და უნარები, რომლებიც ტრადიციული ხელოსნობა-რეწვის დარგებს უკავშირდება.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში 4 ქართული ნომინაციაა:

1. ქართული მრავალხმიანობა - იუნესკომ 2001 წელს ქართული ხალხური პოლიფონიური მუსიკა აღიარა, როგორც კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი, არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრი, ხოლო 2008 წელს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციასთან საქართველოს მიერთების შემდეგ, ქართული მრავალხმიანობა იუნესკოს წარმომადგენლობით სიაშია.

2. ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი ნუსხაში 2013 წელს შეიტანეს. ქართული ტრადიციული მეღვინეობა და ქვევრი - თიხის ჭურჭელი, რომელიც პირამდე მიწაშია ჩაფლული - დღემდე გამოიყენება საქართველოში ღვინის დადუღება-შენახვისათვის (მისი ნახვა კახეთში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგიძლიათ).

3.ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა - ის 2016 წელს შეიტანეს იუნესკოს სიაში.

4. ტრადიციული ქართული ჭიდაობა - 2018 წლიდან მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაშია.

✦ ლავაში, სომხეთი

ძალიან თხლად გაბრტყელებული, ლამის გამჭვირვალე ლავაში, რომელიც თონეში ცხვება, პურის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. მის გარეშე არც ერთი სომხური სუფრა არ ჩაივლის.

✦ კიმჩი, სამხრეთი კორეა

კიმჩი ჩინური კომბოსტოსაგან, ან სხვა ბოსტნეულისაგან დამზადებული კვრიხინა მწნილია, რომელსაც 1500-წლიანი ისტორია აქვს.

მარიაჩის მუსიკა, მექსიკა

მექსიკური ხალხური მუსიკის უძველესი ჟანრია; მარიაჩის შემსრულებელი ჯგუფები ყოველ ფესტივალსა თუ დღესასწაულზე უკრავენ. მეხიკოში, გარიბალდის მოედანზე, მარიაჩის მოსმენა ყოველდღე შეიძლება.

✦ სეგას მუსიკა და ცეკვა, მავრიკია

თეძოებისა და ხელების რიტმული მოძრაობა, თვალისმომჭრელი ჩაცმულობა და აშკარად გამოხატული სექსუალობა - ყოველდღიური საზრუნავისა და შრომისაგან ოდესღაც ასე ისვენებდნენ აფრიკიდან მავრიკიაზე ჩამოყვანილი მონები. დღეს კი სეგას მოცეკვავეებს მოდური სასტუმროები საღამოს შოუებზე იწვევენ.

ბუდისტური სასიმღერო ხელოვნება, ინდოეთში ბუდისტურ კანონთა წმინდა ტექსტები საუკუნეების განმავლობაში იმღერებოდა.

ლადაკჰას მონასტრების მონახულებისას აუცილებლად მოისმენთ, როგორი წამღერებით წარმოთქვამენ მათ ლამები.

✦ ნახატები ქვიშაზე, ვანიატუ

ვულკანურ ქვიშაზე შესრულებული რთული გეომეტრიული

კომპოზიციები არქიპელაგის მცხოვრებ სხვადასხვა ტომს ეხმარება, ერთმანეთს სიტყვიერი ურთიერთობის გარეშე შესანიშნავად გაუგონ. მოგზაურებისათვის ადგილობრივები ამ ნახატებს

შეკვეთით ასრულებენ.

✦ მასკარადი ფასტნახტი, ავსტრია

ოთხ წელიწადში ერთხელ ტიროლის ქალაქ იმსტში იმართება კარნავალი, რომელშიც ტრადიციულად 900 მამაკაცი მონაწილეობს. მათ ჯამბაზების, დათვების, ჯადოქრების, ჭაბუკებისა თუ მოხუცების კოსტიუმები აცვიათ. იმართება მსვლელობა, ცეკვები, თამაშები.

✦ პიცაიოლოს ხელოვნება, ნეაპოლი, იტალია

ასწლეულებია, ნეაპოლელი ოსტატები - პიცაიოლოები - თავიანთ ხელოვნებას ხვეწენ. ყოველ ადგილობრივ პიცერიას საკუთარი რეცეპტი აქვს. ნეაპოლში 3000 დიპლომიანი მცხობელი-პიცაიოლო ცხოვრობს. 1738 წელს დაარსებული პიცერია უძველესია. ასევე ძველია 1780-ში გახსნილი. სახელმწიფო დოკუმენტებში ასახულია ამბავი, როგორ მიირთვეს მეფე უმბერტომა და დედოფალმა მარგარიტა სავოიელმა ადგილობრივი ოსტატის მიერ იტალიის დროშის ფერებში მომზადებული პიცა (თეთრი - მოცარელა, წითელი - პომიდორი, მწვანე - შაშკვლავი ანუ ბაზილიკი). ასე დაიბადა პიცა მარგარიტა.

✦ კალიგრაფია, ჩინეთი

ეს 4000-წლოვანი ფაქიზი ხელოვნება არასდროს ყოფილა მხოლოდ დამწერლობა, ის კალიგრაფიის უმაღლესი ოსტატობაა. დღესდღეობით ჩინეთში რამდენიმე მილიონი პროფესიონალი მხატვარი-კალიგრაფი და ენთუზიასტი-მოყვარულია. ხუთი სხვადასხვა სტილის კალიგრაფია ჩინეთში შეგიძლიათ იხილოთ შენობებსა და კლდეებზე, წიგნებსა და გრაგნილებზე, ფურცლებსა და მარაოებზე.

✦ ყავა, თურქეთი

თურქული ყავის საიდუმლო მისი მომზადების წესშია. ახალმოხალულ, ხელის საფქვავში დაფქულ ყავას სპილენძის მოსადუღებელში ყრიან, ცივ წყალს უმატებენ და შაქრით გულუხვად ატკბობენ. შემდეგ გახურებულ ნახშირზე ან ქვიშაზე ნელ-ნელა ადუღებამდე მიჰყავთ. პატარა ჭიქა ყავასთან აუცილებლად ცივ წყალსაც მოგართმევენ.

საუკუნეთა მანძილზე თურქული ყავახანა ურთიერთობის ტრადიციული ადგილი იყო.

✦ მეწისქვილის ხელობა, ჰოლანდია

ეს ერთადერთი ჰოლანდიური არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც იუნესკომ თავის ნუსხაში მხოლოდ შარშან შეიტანა. წყლის და ქარის წისქვილები ნიდერლანდების სიმბოლოა. დღეს 1000 ასეთი წისქვილია შემორჩენილი.

ჰოლანდიაში ამჟამად 50 პროფესიონალი მეწისქვილე-ოსტატი ცხოვრობს. მათ შექმნეს გილდია, რომლის მიზანიც ამ უძველესი ხელობის ახალი თაობისათვის გადაცემაა.

✦ ბატიკა, ინდონეზია

მსოფლიოს უდიდესი არქიპელაგი ამაყობს თავისი ტანსაცმლითა და სურათებით, რომლებიც ინდონეზიური ბატიკის ხელოვნებითაა შექმნილი.

სიტყვა "ბატიკა" ცვილის წვეთს ნიშნავს, რაც ნახატის აბრეშუმზე ან ბამბის ქსოვილზე გადატანის მეთოდზე მიანიშნებს. ქსოვილი ცხელი ცვილით იფარება და დიდხანს თავსდება მცენარეული საღებავის ხსნარში. ცვილი ხელს უშლის ქსოვილზე ფერების დაფიქსირებას. მონაცვლეობითი ღებვის პროცესი ათჯერ მეორდება - სასურველი გამოსახულების მიღებამდე. ოსტატები დიზაინს ხელით, საგანგებო ხელსაწყოებით ან სპილენძის შტამპით ქმნიან.

✦ კაბუკის თეატრი, იაპონია

საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული კაბუკის თეატრი ამომავალი მზის ქვეყნაში დღემდე ყველაზე პოპულარული ფენომენია. ოდესღაც კაბუკის მსახიობები სექსუალური გოგო-ბიჭები იყვნენ, დრო-

თა განმავლობაში ყველა როლი, მორალის დაცვის მიზნით, მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცებს ერგოთ. სიუჟეტები ისტორიულ მოვლენებსა და სასიყვარულო ურთიერთობებს ეძღვნება. ტრადიციული ინსტრუმენტების აკომპანემენტზე მსახიობები ტექსტს მონოტონურად წარმოთქვამენ.

პარიკები, აბრეშუმის კიმონოები, ურთულესი გრიმი, საიდუმლო კარი, რომლიდანაც მსახიობი უეცრად ჩნდება სცენაზე და ისევ ქრება - ეს საოცრება ყველაზე საუკეთესო საცქერია კაბუკის თეატრში.

✦ ხალიჩების ქსოვის ხელოვნება, აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში ხალიჩების რეწვა ოდესღაც ოჯახური ტრადიცია იყო და ის თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ხალიჩები იქმნებოდა სახლებშიც და სახელოსნოებშიც, ყველაზე ძვირფასები კი - შაჰის საამქროებში, სამეფო მხატვრების ესკიზებით.

დღემდე აზერბაიჯანის ყოველ რეგიონს ხალიჩების ოსტატთა საკუთარი ჯგუფი ჰყავს. თითოეულ მათგანს გამორჩეული სტილი და პატერნი გააჩნია. მიიჩნევა, რომ ხალიჩები გვესაუბრებიან. ორნამენტების თითოეული დეტალი სიმბოლური მნიშვნელობისაა, ხოლო გამოსახულება ერთიანად იკვრება და ამა თუ იმ მხატვრულ შინაარსს ქმნის.

კონვენციის ფარგლებში შექმნილია ნუსხა, რომელიც მოიცავს არა ობიექტებს, არამედ ყველაზე ღირსშესანიშნავ ნაზრევებს, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

მადლობა

დაფასებისა და მზრუნველობისათვის

კასპის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ყოფილი პედაგოგები მადლობას მოახსენებენ რაიონის ხელმძღვანელობას, ბატონ მანუჩარ მერებაშვილს პედაგოგიური ღვაწლის დაფასებისათვის, ყურადღებისა და მზრუნველობისათვის:

ოთარ ნონიკაშვილი, გიორგი მამულაშვილი, ომარ სიმონიშვილი, ელიზავეტა აბუაშვილი, ლიანა ნოზაძე, მარინე გეჯაძე, იზვანია კახიშვილი, ევგენია რაზმაძე, მარინე მჭედელაძე, იზოლდა ხეხელაშვილი, ლეილა გეგელაშვილი, თამარ გეჯაძე, ნანი მჭედლიშვილი, ლედი ჯანანაშვილი, მანანა ყაბანაშვილი, სოფო გელხაური, ნანა ჩადუნელი, დარეჯან ჩიტაშვილი, ალბერტ ყაულაშვილი, ალექსანდრე ჩიტიშვილი, ჯემალ ქამხაძე, ცისანა გაზდელიანი, ვენერა ლალიაშვილი, ცისნამი ქეშელაშვილი, ნანული რაზმაძე, ქეთევან თითირაშვილი, ნინა მანძულაშვილი, ლალი ჩადუნელი, ლია ზარიძე, თამარ რატიშვილი, დალი ხაჩიძე, ნინო ბურდული, ნიკოლოზ მაზმიშვილი, რობერტ ტატანაშვილი, ბადრი ტატანაშვილი, მზევინარ ქურასბედიანი, ნანა ლიპარტელიანი, ნელი ჭეხაშვილი.

გილოცავთ!

შემართება – ქართული, გამარჯვება – ვაჟკაცური!

ქართველ ძიუდოისტებს პორტუგალიური ქალაქის – ოდიველასის – სახელი წლევანდელი ნოემბრიდან კეთილად დაამახსოვრდებათ. თბილისის "მებრძოლის" (ჯერ სახელი განჩხრიკეთ!) საკლუბო გუნდის წევრებმა იქ ფიცხელი ბრძოლები გადაიხადეს და "ევროპის ლიგის" 2019 წლის ჩემპიონობა იკუთვნეს. მათ შორის გახლავთ ვალერი (ვაკო) იაშვილი – საგვარეულო სპორტული ტრადიციების გამგრძელებელი, მოჭიდავე – ჩემპიონი მამისა და პაპისა, სარდიონ და ვალერიან იაშვილებისა! ქართული დროშა ოდიველასში მართლაც რომ უშელავათო ბატალიების შედეგად ააფრიალეს ფრანგულ სამ, რუსულ ორ და, ასევე, გერმანულ, ბერძნულ და სერბულ კლუბებთან პაექრობაში. ოღონდ, ჩვენებს გაჩემპიონების გზაზე ჯერ ფრანგები შემოელახნენ, მერე რუსები (პუტინ-კადიროვის ჩეჩნური "ედელვაისი") და, ბოლოს, ისევ ფრანგები.

ცხადია, აქვე ბათო ჯიქურის ნასარდალევი გუნდის გაჩემპიონებული წევრების გვარებიც უნდა ჩამოვთვალოთ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ბაგრატ ნინიაშვილი და ამირან პაპინაშვილი; ფრიდონ გიგანი და ვალერი იაშვილი; ნუგზარ ტატალაშვილი; ლაშა ბექაური და გიორგი პაპუნაშვილი; გურამ თუშიშვილი და ადამ ოქრუაშვილი!

ესენი ქართული ძიუდოს მაიმედებელი ის ვაჟკაცები არიან, ვინც საგაისო ტოკიოს (იაპონია) ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გადასახედის პრიზმაში მოიაზრებიან. ჰოდა, აბა, როგორ იქნება, ახლანდელი წარმატება არ მივულოცოთ და სამომავლო გამარჯვებები არ მივუსურვილოთ!

ა. კალანდაძე.

შეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, ამბები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში. „კეხერა„ ელოდება გამოხმაურებას.

გამოგვიხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ვრცელდება ყველა კაჯარი თუ ყერძი სკოლაც ვაძლევთ შეცვლილებლობას გაზეთის ცაშაულებით ფურცლებს გვაცნობს ცაყოთარი სკოლაც ინტერნეტ ლა ვწმეთ.

2019-2020 ცაცნწავლო წლის განმავლობაში შეცვლილებლობა გაკეთ გაზეთში გამოაკეყნოთ მშობლიური სკოლის მიმწოდები. გაზეთის ფურცლებიც მეშვეობით ცაკაკთ გაცხადოთ ოკეები ჰრობლემები. ლაცხაცოთ სკოლის ცაცყრეული ცამომავლო გეგმები. ყველაც გაეცნოთ ოვაწლომილი. ცხადგაზრდა თუ ცხადობელა ჰელაგოგები. გვიამბეთ ცალ ლა როგორ ცწავლობთ. რითი ამყობთ. რა გსურთ..

გეცვნით თანცრიაობელებს ოკეები ყურცლამთავრებული მეცენატები. რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს.

ცხოვრების ცაყენეთ ლა ფეშვენიერეც წლებს ვაცურებთ სკოლაში ლა გვიხლა. რომ იკ გაცურებული წლები ოყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული. ლაყვიწყარი.

გამოგვიხმაურეთ!

ხსოვნა

გოგიჭა მოსიაშვილი

ყველა სამეგობროს თავისი "ყოჩი" ჰყავს, ის ვისაც ყველა ენდობა, ვისიც ყველას სჯერა ...

საიმედო, ერთგულო, უკვე მონატრებულო გოგიტა! შენი გარდაცვალება ისე შეიცხადა ქალაქმა ჩვენც კი ცოტა გაოცებული დავრჩით... და ამ გარინდების დღეებში უფრო კარგად დავინახეთ როგორი ძვირფასი იყავი - ყველასთვის საჭირო, მხარში მდგომი.

იცოდი ყველას გაფრთხილება, ყველაზე ზრუნვა, სხვების გახარება ... იცოდი ცხოვრება დღესასწაული არაა, მაგრამ სულ გვიდღესასწაულებდი სადაგ დღეებსაც კი... სიყვარულით, ალალად, ზრუნვითა და ჩვეული ქართლური იუმორით გვითბობდი ცხოვრებას.

უშენოდ შენი დაბადების დღეც აღვნიშნეთ შენს ძმებთან, ოჯახთან ერთად. ყველას ერთად მოგვერია ტკივილი, ყელში გახიდული, მახრჩობელა უშენობის დარდი. კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქსო! ... მიუხედავად ყველაფრისა ამ გაცნობიერებავერ დაჯერების ზღვარზე სულ ველოდებით შენ გამოჩენას...

ჩვენო განუყრელო, შენი საღამოები უკვე გვენატრება ...

სიტყვას არ შეძლებია სევდის დატევა.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი ალალი სული... და განისვენე იქ "სადა იგი არ არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი"...

მეგობრები.

შემოდგომა საგურამოში

დასასრული. დასაწყისი გვ-3.

მარჯვნივაც დავით გურამიშვილის ნაფუძვარზე დღეს ვენახია გაშენებული, გზაგამყოფი ზოლი "დაამშვენა" გიგანტური ღვინის ბოთლმა. ეტიკეტზე ქართულ-ინგლისური წარწერაა (მარცხნივ) მინიშნებით – "გურამიშვილის მარანი" (იგულისხმება ილიას სიმამრის – თადეოზ გურამიშვილის ადგილნაცვალი მარანი).

გურამიშვილის დაბრუნება...

2019 წლის 9 ნოემბერს კი, საგურამოში, ახლად გაშენებულ პარკში, გაიხსნა პოემა "ქართლის ჭირის" ავტორის – უკრაინაში გადახვეწილი პოეტის – დავით გურამიშვილის ძეგლი.

დიდი ქართველი მოაზროვნე და საქართველოს ჭირისუფალი მშობლიურ სოფელს ძეგლად დაუბრუნა მოქანდაკე კახა არუნაშვილმა .

აი, ასეთი "ოქტომბრის" – ოქროფოთოლცვენით – დაიბერტყა ბარაქიანი კალთა შემოდგომამ საგურამოში!..

თამარ გაბოძე.

სს „კასპიელექტროაპარატის„ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ უშანგი და ნანი მოსიაშვილებს შვილის, ლალი სააკაშვილს მეუღლის, ნანა და ლევან მოსიაშვილებს მამის, კობა, ზაზა და იზა მოსიაშვილებს ძმის

გიორგი (გოგიჭა) მოსიაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ახალი განთიადის„ რედაქცია სამძიმარს უცხადებს რუსუდან ხეჩუაშვილს ძმის

ჯემალ ხეჩუაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ახალი განთიადის„ რედაქცია სამძიმარს უცხადებს უშანგი მოსიაშვილს შვილის

გიორგი (გოგიჭა) მოსიაშვილის

გარდაცვალების გამო.

გამოიწერეთ გაზეთი „ახალი განთიადი„!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76